

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ბუნება და მის
წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები



ლევან გიორგობიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოდგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულა სათანადო წესების შესაბამისად”

მადლობა

„მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ გოგა ხატიაშვილს, მთელი ამ დროის განმავლობაში გაწეული შრომისთვის. ბატონი გოგა გამოირჩეოდა ამ დროის განმავლობაში მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულებით, რაც ძალიან დამეხმარა. მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს და კოლეგებს მადონა ჭანტურასა და ნათია ხოსიტაშვილს, აგრეთვე ჩემს უფროს მეგობარს მაიკო კენჭაშვილს, მათი რჩევები და მეგობრული გვერდში დგომა მიადვილებდა მუშაობის პროცესს”

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივ ბუნებას და მის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს.

ადამიანით ვაჭრობა(ტრეფიკინგი) ნამდვილად არ არის ნოვაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, რადგან მას ისტორიული წარსული აქვს. თავიდანვე კაცობრიობას ჰქონდა ძლიერი მიდრეკილება სუსტის მიმართ დაჩაგვრის, რაც ადამიანის ბუნებისთვის არ არის უცხო. ადამიანით ვაჭრობა მონობის თანამედროვე ფორმაა, რომელიც მსოფლიოში უხსოვარი დროიდან არსებობს.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს შემდეგი, რომ მკითხველმა სწორად აღიქვას თუ რას გულისხმოს ადამიანით ვაჭრობა(ტრეფიკინგი) როგორია მისი სამართლებრივი ისტორია, რა მდგომარეობაა მასთან ბრძოლის კუთხით მსოფლიოში და საქართველოში.

აგრეთვე მოცემული ნაშრომის მიზანია ის, რომ მკითხველმა გაიგოს თუ რა არის მისი (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზები, მათ შორის ყველაზე გავრცელებული საფუძვლები. ამას გარდა ნაშრომის მიზანია პრობლემების წარმოჩენა თუ რა პრობლემები არსებობს ამ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში.

უნდა აღინიშნოს რომ ნაშრომის შესასწავლად, გამოყენებულ იქნა არაერთი კონკრეტული სამეცნიერო კვლევის მეთოდი; შედარებით სამართლებრივი მეთოდი, ანალიზის კომპლექსური და ლოგიკური მეთოდი, სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის მეთოდი.

ჩემს მიერ წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება თეორიული ნაშრომის სტრუქტურას, აქედან გამომდინარე აღნიშნული კვლევის ფარგლებში გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო კანონმდებლობა, აგრეთვე გაანალიზებულია სასამართლო გადაწყვეტილებები, რაც მიზნად ისახავს მკითხველს დაანახოს ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივი ბუნების თავისებურებანი და სირთულები, აგრეთვე მასთან ბრძოლის უნივერსალური მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) , ექსპლუატაცია, საფუძველი, ეკონომიკური პირობები, ძალადობა.

Abstract

This paper examines the legal nature of human trafficking and recent international standards against it.

Human trafficking is not an innovation in the criminal justice system, because it has a historical background. Since the beginning of mankind, the human race has attempted to oppress the weak. Human trafficking is a modern form of slavery, which has a long-standing history.

The goal of a research is to present the meaning of trafficking, its historical background and to explore recent international and Georgian strategies to combat trafficking.

The purpose of a research is to help readers understand the root causes of trafficking and to illustrate the challenges for crime-fighting.

This paper focuses on scholarly comparative legal research; comparative legal method, complex analytic methods, logical analysis and case law analysis.

This research is based upon academic paper format. Therefore, this paper analyzes scientific literature, examines national and international legal frameworks and case law, to help the readers understand complexities and characteristics of the legal nature of human trafficking and demonstrate strategies to fight against human trafficking.

Key words: Human trafficking, exploitation, root causes, economic factors, violence.